P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

თეატრის მოღვაწეები დახმარებას ითხოვენ

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის კატასტროფული რისკები

იხილეთ მე-6 გვერდზე

№ 21 (671) 24 - 30 ივნისი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

პოლიტიკური დევნა, თუ კადრების ოპტიმიზაცია ქუთაისის მერიაში?

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

თენგიზ თოფურიძე: „ვერ ვიხსენებ, რომ წინა წლებში მომხდარი რეორგანიზაციის დროს „ნაციონალები“ რომელიმე დაჩაგრული ადამიანის ადვოკატები გამხდარიყვნენ“

ქუთაისის მერიაში კადრების რეორგანიზაცია უკვე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მერიის თანამშრომლებმა, დიდი ხანია, იცოდნენ სამსახურებიდან მათი მოსალოდნელი გაშვების შესახებ, ადგილობრივი თვითთმართველობის და მუნიციპალიტეტების რამდენიმე ერთეულმა თანამშრომელმა მერიის წინ ფორმალური გამაფრთხილებელი აქცია გამართა.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ახალი მერი თანამშრომლებს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით უშვებს.

ამირან ძოწენიძე, ქუთაისის ვიცე-მერი: „ახალი მმართველობისგან კარგს არაფერს ველოდებით, რადგან ქუთაისის მერიაში თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება ხდება. ეს პროცესი რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია რომ არაა, ძალიან მალე გახდება ცხადი. ამატებენ ახალ სამსახურებს, სადაც მათთვის კეთილსაიმედო ადამიანებს და იმ პირებს ნიშნავენ, რომელთანაც ვალში არიან. ბატონმა მერმა რამდენიც არ უნდა იძახოს, რომ ეს მისი გაკეთებული არ არის და საკრებულოს უკვე ყოფილმა, გაქცეულმა „ნაციონალებმა“ გააკეთეს, თავს მაინც ვერ დაიძვრენს, რადგან ბრძანებებზე მისი ხელმოწერაა. ეს არის პოლიტიკური დევნა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ლაშა მაქაცარია პროკურატურასთან თანამშრომლობს

„გამოძიებას ყველა იმ პირის გვარი მივაწოდე, რომლებიც ამ საქმის გამო უნდა დაიკითხონ“

იხილეთ მე-2 გვერდზე

რას ჰპირდება „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი“ ჭიათურელებს?

იხილეთ მე-4 გვერდზე

მკითხველის საყურადღებოდ!

გაზეთი „P.S.“ 1 სექტემბრამდე საზაფხულო შვებულებაში გადის, სამაგიეროდ, გააქტიურდება ჩვენი ინტერნეტპორტალი **www.psnews.ge** და **Press**-კლუბი. ერთგულ მკითხველს ვთავაზობთ ოპერატიულ, ცინცხალ ყოველდღიურ ამბებს, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს, ექსკლუზიურ თემებს. **Press**-კლუბში მთელი ზაფხულის მანძილზე გვეყოლება საინტერესო სტუმრები (ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები) და ამ შეხვედრების ამსახველ რეპორტაჟებს შემოგთავაზებთ ჩვენს საიტზე. დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ, თავადაც გვეწვიოთ რედაქციაში და მონაწილეობა მიიღოთ **Press**-კლუბის მუშაობაში, განსასჯელად შემოგვთავაზოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე დაგვისახელოთ ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა გსურთ.

ხელისუფალნო, დაგვიბრუნეთ ჩვენი დედები!

იხილეთ მე-5 გვერდზე

საზოგადოება სამალავებში აღმოჩენილი კადრების გასაჯაროებას ითხოვს

იხილეთ მე-5 გვერდზე

„სოფლის პროგრამა“ არასოფლური პრიორიტეტებით

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056

დაურიგდება დიასახლისებს საოჯახო ტექნიკის 1000-ლარიანი ვაუჩერი? — გვ.8

პოლიტიკური დევნა, თუ კადრების ოპტიმიზაცია ქუთაისის მერიაში?

თენგიზ თოფურიძე: „ვერ ვიხსენებ, რომ წინა წლებში მომხდარი რეორგანიზაციის დროს „ნაციონალები" რომელიმე დაჩაგრული ადამიანის ადვოკატები გამხდარიყვნენ"

პირველი გვერდიდან

ერთადერთი, ვისაც ეს დევნა არ შეეხო, არის თენგიზ თოფურიძე, რადგანაც დამსახურებები აქვს ახალი ხელმძღვანელობის წინაშე. „პატრიოტების" ინიციატივით, გაუშვებენ მხოლოდ იმ „ნაციონალებს", რომლებიც საკუთარი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ და სამსახურებზე არ გაყიდეს საკუთარი მეგობრები. სამწუხაროა, რომ ღალატი და მეგობრების გაყიდვა ფასობს და საზოგადოება ამას მშვიდად იღებს."

გავრცელებული ინფორმაციით, ვიცე-მერი ამირან ძოწენიძე სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებულ შემოთავაზებას დათანხმდება და ვიცე-გუბერნატორის თანამდებობას მიიღებს.

მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსის, **ანდრო მაღლაკელიძის** განცხადებით კი დიმიტრი კოპალიანი თვალდახუჭული აწერს ხელს გათავისუფლების ბრძანებებს, რადგან არც ერთ თანამშრომელს არ იცნობს და არც მათი პროფესიონალიზმის შესახებ აქვს ინფორმაცია. ე.წ. რეორგანიზაცია მხოლოდ ერთი ადამიანის, გოჩა თევდორაძის დამსახურებაა და მის ქმედებას კანონიერებასთან კავშირი არ აქვს.

გათავისუფლებულთა სიაში მოხვდნენ შესყიდვების სამსახურის უფროსი ანდრო მაღლაკელიძე, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი ზაზა სულაძე, სამხედრო საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა ზაუტაშვილი და საბინაო სამსახურის უფროსი კახა ხვარეშია. საერთო ჯამში, ამ დროისათვის არსებული მონაცემებით თანამდებობა მერიის ცხრა სამსახურის უფროსმა დატოვა.

როგორც **კახა ხვარეშიამ** მედიასთან განაცხადა, ის თავად მივიდა ბრძანების წამოსაღებად და აღნიშნა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ნაკლებად დარჩება პროფესიონალი კადრები და, სავარაუდოდ, თანამდებობას მერიაში დასაქმებულთა 80 პროცენტი დატოვებს. მისივე თქმით, არაა გამორიცხული, რომ სამსახურების უფროსებმა თავიანთი უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართონ.

ქუთაისის მერიაში დაწყებული მასშტაბური რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესს გამოეხმაურა დიმიტრი კოპალიანი. მერი ამ მოვლენების ავტორად საკუთარ თავს არ მოიაზრებს და ამბობს, რომ ეს პროცესი მის მოსვლამდე იყო დაწყებული. მისი თქმით, გათავისუფლების შესახებ დოკუმენტები გაცილებით ადრე მომზადდა, ვიდრე ის ქალაქის მერად დაინიშნებოდა.

„ერთი თვით ადრე მომზადდა დოკუმენტები, რომელიც სამსახურების უფროსების გათავისუფლებას ითვალისწინებდა. მათზე დატანილი იყო ხელმოწერებიც. საერთოდ, მხოლოდ ქალაქის მერი არ აწერს ხელს გათავისუფლების შესახებ განცხადებას. იურისტის და სხვების ხელმოწერებიც არის იქ. მე როცა მოვედი, ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო. ამ დეტალებზე უფრო ვრცლად თენგიზ თოფურიძეა საქმის კურსში," — ამბობს **დიმიტრი კოპალიანი**.

კოპალიანმა ასევე რეორგანიზაციის მიზეზებზე ისაუბრა. მისი თქმით, ქუთაისის ბიუჯეტში ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, რის გამოც აუცილებელი იყო კადრების შემცირება.

„კატასტროფულ მდგომარეობაშია ჩვენი ბიუჯეტი. 20-30%-ია შემოსავლები, ხარჯები კი 80%-ს აჭარბებს. სწორედ ამან გამოიწვია რეორგანიზაცია, ჩვენი მიზანია, ცვლილებები მოხდეს იმიტომ, რომ როგორმე დავეხმაროთ ბიუჯეტს," — განაცხადა დიმიტრი კოპალიანმა.

რაც შეეხება სამსახურებიდან გათავისუფლებულ უფროსებთან შეხვედრას, ამას შეურაცხმყოფელს და პროვოკაციულს უწოდებს კოპალიანი. მისი თქმით, სამსახურების ყოფილმა უფროსებმა მასთან შეხვედრის დროს პოლიტიკური არაპროფესიონალიზმი გამოავლინეს:

„მე განაწყენებულიც კი ვარ მათი საქციელის გამო. შემოვიდნენ ჩემს კაბინეტში და ცდილობდნენ ჩემს კომპრომეტირებას, რაც არასწორია. როცა არ იცი ადამიანის წარსული და მიდიხარ მასთან პოლიტიკურ პროვოკაციაზე, ეს არის არაპროფესიონალიზმი. ამის შემდეგ მათ დაიწყეს არასწორი ინფორმაციის გავრცელება ამ შეხვედრის შესახებ, რაც გაჟღერდა კიდეც პრესის საშუალებით. მე მინდა, მოვუწოდო მათ, ნუ ქმნით პროვოკაციულ სიტუაციებს. ადგილობრივი თვითმმართველობა არის სამუშაო დაწესებულება!" — განაცხადა დიმიტრი კოპალიანმა.

ოპონენტებს უპასუხა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა **თენგიზ თოფურიძემ**: „17 მაისს გამოცხადდა რეორგანიზაციის პროცესი, რის შესახებაც ეცნობა ყველა თანამშრომელს. მერიაში 800 ადამიანი მუშაობს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებით, მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ, 10-15 პროცენტით შევამცირეთ. ეს ყველაფერი კანონიერად მოხდება. პოლიტიკურ დევნაზე საუბარი არაა. მე არასოდეს ვყოფილვარ იმ გუნდის წევრი, რომლის წევრებიც მოღალატეს მიწოდებენ და, საერთოდ, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. მე ყოველთვის საჯარო მოხელე ვიყავი. ეს ადამიანები წინა წლებში თვითონ იყვნენ რეორგანიზაციის დამწყებნი და არ მახსოვს, რომელიმე მათგანი დაჩაგრული ადამიანის ადვოკატი ყოფილიყო."

თოფურიძე არც უარყოფს და არც ადასტურებს ვიცე-მერის პოსტზე მისი დანიშვნის საკითხს. შეგახსენებთ, რომ ვიცე-მერების პოსტზე თენგიზ თოფურიძე, კოტე ლომიძე და გია შარაბიძე მოიაზრებიან.

თენგიზ თოფურიძისგან განსხვავებით, რეორგანიზაციის მიმდინარე პროცესს პოლიტიკურს უწოდებს ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **მამუკა მღვდელაძე**.

„ახალ მერს უნდა, რომ ახალი გუნდი ჰყავდეს, ეს ასეა ყველგან და ამაში გასაკვირი არაფერია. თუკი ვინმე თვლის, რომ მათი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით ხდება, დიახ, ეს პილიტიკური პროცესია. სამსახურს ვერ შეინარჩუნებენ ის ადამიანები, რომლებიც 17 აპრილის აქციისათვის ხალხს აგროვებდნენ და მერიაში ზონდერსაქმიანობას ეწეოდნენ. მათ აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს და კანონის ფარგლებში გაარკვიონ, სამსახურიდან მათი გაშვება რამდენად სამართლიანად მოხდა."

„ნაციონალებისგან" განსხვავებით, მერიაში მიმდინარე გათავისუფლებებს დადებითად აფასებენ პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის წევრები, რომლებმაც მერიის თანამშრომელთა აქციის პარალელურად, ადმინისტრაციული შენობის წინ ბრიფინგი გამართეს და საქართველოს მთავარ პროკურორს „უსუსური" უწოდეს. „ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ახალ მერს და მიგვაჩნია, რომ სამსახურების თანამშრომლები სამართლიანად თავისუფლდებიან. რადგან ისინი მონაწილეობდნენ გაყალბებებსა და კორუფციაში. უსუსურია პროკურატურა და არჩილ კბილაშვილი, რომ „ნაციონალებს" ამდენს აბლატავებენ. მიგვაჩნია, რომ მერიაში 800 უსაქმური არ უნდა იყოს, ისინი 10 მილიონს ხარჯავენ ხელფასებისა და პრემიის სახით მაშინ, როდესაც ადამიანები შიმშილობენ," — განაცხადა **გოგი წულაიამ.**

აღსანიშნავია, რომ მერიაში გათავისუფლებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ახალი კადრები კონკურსის წესით დაინიშნებიან, თუმცა უკვე გახდა ცნობილი რამდენიმე პიროვნების ვინაობა, რომელთაც სამსახურების ხელმძღვანელთა ვაკანტურ თანამდებობაზე შეთავაზება უშუალოდ „ქართული ოცნებისგან" მიიღეს. ეს დაანონსებულ კონკურსს ეჭვქვეშ აყენებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ᵃ. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ლაშა მაქაცარია პროკურატურასთან თანამშრომლობს

„გამოძიებას ყველა იმ პირის გვარი მივაწოდე, რომლებიც ამ საქმის გამო უნდა დაიკითხონ"

2010 წელს ქუთაისის ბაგა-ბაღებში განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ დაკავებულმა და სამსახურებიდან გაშვებულმა თანამშრომლებმა დასავლეთ საქართველოს პროკურატურაში, საქმის გამოძიების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანეს. შეგახსენებთ, რომ 2010 წელს ქუთაისის 27 ბაღში სამართალდამცავები შევიდნენ და კორუფციული გარიგების ფაქტზე 5 ბაღის გამგე დაიჭირეს, მოგვიანებით კი რამდენიმე ათეულმა თანამშრომელმა, საკუთარი განცხადების საფუძველზე, სამსახური დატოვა. აღნიშნული საქმე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელით მოინათლა. თუმცა, გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა მიმდინარე წელს, ახალი ხელისუფლების პირობებში, საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვეს.

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ლაშა მაქაცარია

საქმეზე უკვე დაიკითხა ბაღების აიპი გაერთიანების უფროსი მაია პაქსაძე. მოგვიანებით კი საქმესთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში მოწმის სახით იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია დაიბარეს.

პროკურატურაში შესვლამდე მაქაცარიამ განაცხადა, რომ მისი დაკითხვაზე დაბარება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. „თვითონ სიტუაცია არის კომიკური, რადგან ერთადერთი კითხვა, რაც გამოძიებას ჩემს მიმართ შეიძლება ჰქონდეს, არის ის, თუ რატომ ვებრძოდი კორუფციას, რადგან იმ დროს ბაღის თანამშრომლების დაკავება სწორედ კორუფციული გარიგების გამო მოხდა. ვაპირებ პროკურორს მივაწოდო იმ პიროვნებების გვარები, რომლებიც თვითონ არიან გახვეული კორუფციულ გარიგებებში და ეს ადამიანები დღეს პოლიტიკურ ამინდს ქმნიან," — განაცხადა ლაშა მაქაცარიამ.

„ეჭვი მაქვს, რომ 2010 წელს ბაღებში ჩატარებულისპეცოპერაციის შემდეგ გათავისუფლებულ თანამშრომლებს პროკურატურაში სარჩელი პატრიოტების ლიდერმა, გოჩა თევდორაძემ შეატანინა," — აღნიშნა დაკითხვიდან გამოსულმა ლაშა მაქაცარიამ.

მაქაცარიასივე განცხადებით, პროკურატურის მხრიდან დასმული ყველა კითხვა საქმიანი იყო, და მანაც პასუხი ყველა კითხვას გასცა.

„მივიჩნიე, რომ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი იყო ჩემი ინფორმაცია, ამიტომ ჩემს მიერ მიცემულ ჩვენებაში კონკრეტულად მივუთითე, რა კუთხით უნდა იმუშაოს გამოძიებამ. ჩემი აზრით, 2010 წლის საქმის გამოძიება ბოლომდე არ იყო მიყვანილი, ამიტომ ეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს. პროკურატურას მივეცი იმ კონკრეტული პირების გვარები, რომლებიც უნდა დაიკითხონ და რომლებმაც პასუხი უნდა აგონ. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეგიონში კორუფცია დაგვემარცხებინა. გამოვთქვი ეჭვი, რომ ამ საქმის უკან გოჩა თევდორაძე დგას, რადგან ის არის ახალ ხელისუფლებასთან დაახლოებული, რომლის მეშვეობითაც მოხდა ქუთაისის მერის არჩევა. თუ თევდორაძე დამნაშავე არის, ის ყველამ უნდა გაიგოს. მოვიდა დრო, როდესაც ადამიანებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებით, კორუფციასთან ბრძოლის გამო კითხავენ," — განაცხადა ლაშა მაქაცარიამ.

მაქაცარიას ბრალდებას გამოეხმაურა პატრიოტთა ლიდერი: „ცრუ ჩვენების მიცემა კანონით ისჯება და სწორედ ცრუ ჩვენების მიცემის გამო, ლაშა მაქაცარიას პასუხისგება მოუწევს," — აღნიშნა გოჩა თევდორაძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი

თეატრის მოღვაწეები დახმარებას ითხოვენ

იმერეთის სახელმწიფო თეატრების თანამშრომლები საერთო პრობლემის წინაშე ერთიანდებიან. რეგიონის ხუთი თეატრის (ლადო მესხიშვილის, ბალანჩივაძეების, იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლისა და უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო თეატრები) შემოქმედებითი და ტექნიკური პერსონალი სახელფასო ანაზღაურებასთან ერთად ასაკობრივი პენსიის დანიშვნას ითხოვს.

ხუთივე თეატრის კოლექტივი თავიანთ ხელმძღვანელებთან და „თეატრალური საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილებასთან ერთად ბოლო სამი წელია პრობლემის მოგვარებისთვის იბრძვის. ქუთაისის, ჭიათურისა და ზესტაფონის თეატრალური საზოგადოება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა, მცირე ანაზღაურების პირობებში, თანამშრომლებისთვის ასაკობრივი პენსიის დანიშვნისთვის მიეღწია, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება.

საქმე ისაა, რომ საქართველოს მასშტაბით ყველა სახელმწიფო თეატრი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ატარებს, რის გამოც კანონით ამ სტატუსის მქონე დაწესებულების თანამშრომლებისთვის საპენსიო ფონდი არ არსებობს. თუმცა, რამდენიმე წლის წინ გამონაკლისი დაიშვა პედაგოგებისთვის და ისინი, უკვე წლებია, ხელფასთან ერთად ასაკობრივ პენსიასაც იღებენ. როგორც თეატრების თანამშრომლები ამბობენ, პრობლემის მოგვარება მარტივი გზით, კანონში ცვლილებების შეტანით, ან სახელფასო ფონდის შექმნით არის შესაძლებელი, რაც კონკრეტული პირების „კეთილ ნებაზეა“ დამოკიდებული.

ბოლო სამი წლის უშედეგო ბრძოლის შემდეგ, სრულიად თეატრალური საზოგადოება პრობლემის მოგვარებაში მთავარ პასუხიმგებლობას საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატს გოგი ქავთარაძეს და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს აკისრებს.

„მთელი ეს სამი წელი დაპირებებით გვკვებავდნენ. ხან გვეუბნებოდნენ, რომ საკითხი შემუშავების პროცესში იყო, ხანაც თითქოს კომისიაზე იყო გატანილი, ხანაც მოდიოდა ინფორმაცია, თითქოს კომიტეტში გასატანად მზადდებოდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არაფერი არ მოხდა. დაახლოებით, ერთი თვის წინ კი მივიღეთ პასუხი, რომ, რადგან ჩვენ ვართ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამიტომ არ ეკუთვნის ჩვენს მსახიობებს პენსია. ეს არ არის სწორი. 40 და 45 წელი რომ მუშაობს მსახიობი და მთელი მისი ცხოვრება ამ სფეროს მიუძღვნა, ნუთუ არ იმსახურებს იმას, რომ ხელფასთან ერთად მიიღოს პენსიაც? მოგვაქციოს ყურადღება კულტურის სამინისტრომ, პარლამენტმა და შევიდეს ცვლილება კანონში, რათა ამ ხალხმაც მიიღოს კუთვნილი პენსია,“ — აცხადებს ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრის მმართველი **როზა დვალიშვილი**.

„ის, რომ მსახიობის შემოსავალი აკმაყოფილებდეს საარსებო მინიმუმს, ეს ჩემს ინტერესშიც შედის. პრობლემა არის სახელმწიფოში. არ შეიძლება, ვიღებდეთ ისეთ კანონს, რომელიც ხშირად საჭიროებს შეცვლას. არ უნდა ვყოფდეთ საპენსიო ასაკის მქონე ადამიანებს იმის მიხედვით, მუშაობს თუ არა იგი თეატრში. მათი უზრუნველყოფა პენსიით, ვინც ასაკის მიუხედავად ქმედუნარიანია, სახელმწიფოს მხრიდან იქნება დაფასება და პატივისცემა იმ ადამიანებისა, ვინც მთელი თავისი ცხოვრება თეატრს მიუძღვნა,“ — მიაჩნია ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მმართველს **ია იაშვილს**. მისი თქმით, თოჯინების თეატრის საპენსიო ასაკის მქონე თანამშრომლები შეუცვლელები არიან, რადგან მათ მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად თავიანთი საქმე ხელოვნებად აქციეს.

საპენსიო ასაკის 10 თანამშრომელია დასაქმებული ჭიათურის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. თეატრის მმართველი ნანა წერეთელი ამბობს, რომ მისი თანამშრომლებისთვის ხელფასთან ერთად პენსიის მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„რაიონულ თეატრებში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა, რადგან ჩვენთან მიზერულია მსახიობის ანაზღაურება. თუ რამდენიმე წლის წინ მოხდა ცვლილება კანონში და ყველა სფეროს პედაგოგს მიეცა ხელფასთან ერთად პენსია, რატომ არ შეიძლება, იგივე მოხდეს ჩვენს შემთხვევაშიც? ცოტანი დარჩნენ ასეთი ადამიანები და ვფიქრობ, არ უნდა იყოს დიდი პრობლემა მათთვის სახელფასო ფონდის გამოყოფა. უნდა დავაფასოთ ის ადამიანები, ვინც მთელი ცხოვრება თეატრს მიუძღვნა,“ — ამბობს ჭიათურის „აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ხელმძღვანელი **ნანა წერეთელი**.

იმერეთის მასშტაბით, თეატრის თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 200 ლარს არ აღემატება, რაც თითქმის ნახევარია თბილისში არსებული თეატრების მსახიობთა ხელფასისა. აქედან გამომდინარე, თეატრების თანამშრომელთა თქმით, მათთვის საპენსიო ანაზღაურება ორმაგად მნიშვნელოვანია.

„ისედაც დაბალი ანაზღაურება გვაქვს და პენსია მაინც მოგვცენ. კანონი ყველასთვის უნდა იყოს თანასწორი. თუ იღებს სხვა, უნდა მივიღოთ ჩვენც. რატომ ხდება დიფერენცირება? რა დააშავეს თეატრის მსახიობებმა და ტექნიკურმა პერსონალმა, და რატომ ხდება, რომ ჩვენს გარდა კულტურის სფეროს ყველა წარმომადგენელი იღებს ამ თანხას? ყველა, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხის მოგვარება, უნდა ჩაერთოს და დაგვეხმაროს,“ — ასეთია ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრის დამსახურებული მსახიობის და სპექტაკლების წამყვანი რეჟისორის **ფოთოლა დუნდუას** აზრი.

„55 წელია, თეატრში ვმუშაობ. 101 როლი მაქვს ნათამაშები. ძალიან ცოტა შემოვრჩით ასეთი მსახიობები. თუ დაგვეხმარება სახელმწიფო და დაგვაფასებს, ჩვენც მეტი ენთუზიაზმი გვექნება. მთელი ცხოვრება თეატრში გაატარეს ამ ადამიანებმა და ნამდვილად იმსახურებენ სახელმწიფოსგან თუნდაც იმ მიზერულ თანხას, რასაც პენსია ითვალისწინებს. მოგვაქციოს სახელმწიფომ ყურადღება!“ — ამბობს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აქტიორი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი **ლამარა ვაშაკიძე.**

თეატრის თანამშრომლებისთვის სახელფასო ანაზღაურებასთან ერთად პენსიის დანიშვნისთვის რამდენიმე წელია იბრძვის საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის განყოფილების თავმჯდომარე ლევან როხვაძე. მისი მცდელობის შედეგად, თეატრალების პრობლემის შესახებ უკვე იციან საქართველოს პარლამენტში. თეატრალური საზოგადოების აქტიური წევრი და ჟურნალ „თეატრალური ქუთაისის“ დამფუძნებელი ბოლო იმედს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი გასაგზავნ წერილზე ამყარებს.

„იმერეთი არის ქართული თეატრის აკვანი. არ შეიძლება უყურადღებოდ ვტოვებდეთ იმ ადამიანებს, ვინც ქართული თეატრის ისტორიას ქმნის. ეს ის ხალხია, ვისაც თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია და მათ დაფასება სჭირდებათ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მიტოვებულია ეს სფერო. მოხმარება და გვერდით დგომა სჭირდება ამ ადამიანებს. ისედაც დაბალი ანაზღაურება აქვთ თეატრის თანამშრომლებს და პენსია მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ არ დაკარგონ ენთუზიაზმი. ახლა სჭირდებათ მათ დახმარება, დაფასება, რომ ითამაშონ ბევრი პრემიერა და შექმნან ბევრი კარგი სპექტაკლი. არ მოვისვენებ, ვიდრე მიზანს არ მივაღწევ და არც იმათ მოვასვენებ, ვისაც ამ საკითხის მოგვარება შეუძლია,“ — აცხადებს **ლევან როხვაძე**.

დამაიმედებელ პროგნოზებს არ აკეთებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ქავთარაძე. ის პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზას ასახელებს, თუმცა ვერ აკონკრეტებს, როდის დადგება დღის წესრიგში თეატრის მოღვაწეებისთვის პენსიის დანიშვნის საკითხი.

„ამ ეტაპზე სახარბიელოს ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით, გაჩერებულია ეს საკითხი. არის შესაძლებლობა, რომ ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილთან დავაყენოთ საკითხი. სოციალურ საკითხთა დეპარტამენტსაც შეიძლება მივმართოთ. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კიღურაძეც მინდა ჩავაყენო საქმის კურსში. რამდენიმე საშუალებით შეიძლება პრობლემის მოგვარება. შესაძლებელია, კანონში შევიდეს ცვლილება, ან ცალკე გამოიყოს ფონდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საკითხი ღიაა და, კონკრეტულად, არაფრის თქმა არ შემიძლია,“ — განაცხადა **გოგი ქავთარაძემ.**

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს **ივანე კიღურაძეს,** მან გაზეთ „*P.S.*“-თან საუბარი არ მოისურვა.

არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო თეატრებში, საპენსიო ასაკის მქონე 170 თანამშრომელია დასაქმებული. მარტივი დაანგარიშებით, მათი წლიური საპენსიო ანაზღაურებისთვის მხოლოდ 255 ათას ლარიანი ფონდია საჭირო.

სრულიად იმერეთის თეატრალური საზოგადოება იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება გამოიჩენს „კეთილ ნებას“ და ღვაწლმოსილ ხელოვანებს კუთვნილ სახელმწიფო პენსიას დაუნიშნავს.

მარი პატარაია

რატომაა თერჯოლაში მარად ახალი წელი?

რევაზ გაბრიაძე: „ამ განათებით მოსახლეობას კომფორტული გარემო შევუქმენით“

თერჯოლაში ღამით ერთხელ მაინც თუ გაგივლიათ, თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა ის მორთულობა, რაც ნებისმიერ სეზონზე თერჯოლის სავიზიტო ბარათადაა ქცეული.

სანახაობა — ფასადების გალამაზება და მოსახლეობის ფერადი ნათურებით მოხიბვლა — წინა ხელისუფლების ჩვეული პოლიტიკა იყო. შესაბამისად, იმ დროის ტენდენციებს არც თერჯოლა ჩამორჩა და საქართველოს თუ არა, რეგიონის მასშტაბით, ნამდვილად პირველია ამ მხრივ. თავისი უჩვეულო მორთულობით ქალაქი არაერთხელ გამხდარა ხუმრობის ობიექტი: „თერჯოლაში სულ ახალი წელია“, „სახანძროდან სადგურამდე, სულ ესაა თერჯოლა!“ — ხუმრობენ ადგილობრივები და „გაბრჭყვიალებულ“ ქალაქზე თავიანთ აზრს გულღიად აფიქსირებენ.

თამრიკო, 55 წლის, თერჯოლის მცხოვრები: „კაია, ბავშვებს უხარიათო! ბავშვებს სხვა რამეც უხარიათ და იმაზე რატომ არავინ ზრუნავს. ღამე რომ გაალამაზეს ეს ქალაქი, დღე რაც პრობლემებია, იმას რა ეშველება! არიქა, თერჯოლა გალამაზდაო, მე აქ ვცხოვრობ და დღე გალამაზებულს ვერაფერს ვხედავ. ღამე კია გაბრჭყვიალებული, მარა ეს არ შველის საქმეს, გართობა და ქუჩის მორთვა მეორეხარისხოვანია, ამ ქალაქს და მის სოფლებს სხვა მრავალი პრობლემა აქვს და იმით დაიწყონ, ჯობია.“

ნინი რობაქიძე, 15 წლის, თერჯოლის მცხოვრები: „ღამით რომ ვსეირნობთ, ყველაფერი გაბრწყინებულია და მომწონს. ახალგაზრდობა ქუჩაში გამოდის და ერთობა, თანაც სხვა ახლომახლო რაიონებში არაა მსგავსი რამ და თერჯოლა რაღაცით ხომ უნდა გამოირჩეოდეს?“

ბექა აბულაძე, თერჯოლის მცხოვრები: „აქანა სულ ახალი წელია და გვიხარია თერჯოლელებს. ლამაზი კია, მაგრამ კომფორტს ნამდვილად არ გვიქმნის ეს მორთულობა, ნამდვილად არაა ისე, რომ ჩვენ ეს ნათურები გვიხაროდეს. ხალხს დასაქმება უნდა, სამსახური, რომ მერე დასასვენებლად გამოვიდეს გალამაზებულ ქუჩაში, თორემ ახლა რამ დაგვღალა, დასვენება, რომ გვჭირდებოდეს? ის მიზეზი, რომ თითქოს ნათურებს იმიტომ არ ხსნიან, რომ ჩამოხსნის დროს ზიანდება, სასაცილოა. დიდ ქალაქებში იმხელა მორთულობებს რომ ხსნიან, რა, ყოველ წელს ფუჭდება და ახალს აკეთებენ?“

კითხვაზე — რა მიზეზითაა საახალწლო მორთულობა თერჯოლაში შემორჩენილი და რამდენად არის ეს საზოგადოების დაკვეთა, პასუხი ვერ მივიღეთ. მოსახლეობისგან განსხვავებით, საკუთარი მოსაზრება აქვს თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს **რევაზ გაბრიაძეს**: „არაა ეს საახალწლო მორთულობა, როგორც ეძახიან. ახალ წელს სხვა განათებებს ვამატებთ (სავარაუდოდ, საახალწლო ნაძვის ხე იგულისხმა. ავტ.). ეს ჩვეულებრივი განათებაა და თანაც — კარგი. ამ ყველაფრით ადგილობრივებს კომფორტული გარემო შევუქმენით, ეს საზოგადოების დაკვეთა იყო.“

ცენტრალურ ქუჩაში შექმნილი კომფორტული გარემო ნამდვილად არ აკმაყოფილებს თერჯოლის გამგეობაში პრობლემებით მისულ მოსახლეობას, რომელთა უკმაყოფილებას შენობაში არსებული ბიუროკრატია კიდევ უფრო ამძაფრებს. „ეს ამასთან გაგგზავნის, ის — იმასთან, ის კიდო იქეთ და საქმე მაინც არ კეთდება,“ — წუწუნებენ გამგეობის შენობაში სიიარულით დაღლილი თერჯოლელები.



გამგეობის არქიტექტურის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი **მამუკა ლილუაშვილი** კი არ უარყოფს, რომ განათება საახალწლოა და ამბობს, რომ ნათურები დემონტაჟის დროს ზიანდება და მათი ჩამოხსნაც სწორედ ამიტომ არ ხდება.

რას ემსახურება თერჯოლის მორთული ცენტრი? მამუკა ლილუაშვილს ამაზე პასუხი არ აქვს.

— რა, ცუდია? — კითხვას სვამს იგი. თუმცა, იმასაც დასძენს, რომ განათება მხოლოდ შემოწმების მიზნით ირთვება ხანდახან. ამ არგუმენტს კი დამაჯერებლობა ნამდვილად აკლია, რადგან თერჯოლა ყოველ ღამეა საახალწლო ეფექტებით მორთული.

რა რაოდენობის ელექტრო-ენერგიას ხარჯავს ხსენებული განათება? როგორც მამუკა ლილუშვილი ირწმუნება, თერჯოლის ბიუჯეტს ამ განათების გამო ძალიან ცოტა თანხა აკლდება.

„ეს ნათურები ბევრს არ წერს, პირიქით, ძალიან მცირესაც, თვეში საშუალოდ, 10-15 ლარის ელექტროენერგია იხარჯება, ანუ, ფაქტობრივად, ხარჯი არა აქვს. რამდენად კომფორტულია ეს მოსახლეობისთვის, არ გამოგვიკითხავს. ლამაზია, მით უმეტეს — ამ პერიოდში, ათასი სტუმარი მოდის. თერჯოლის თითქმის 19 სოფლის და რაიონის ცენტრალური ნაწილის გარეგანათების საერთო თანხა ზამთრის თვეებში 7 000 ლარს, ზაფხულის თვეებში კი — 9000 ლარს აღწევს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან იფარება,“ — აღნიშნა psnews.ge-სთან საუბრისას თერჯოლის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

რას ჰპირდება „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი" ჭიათურელებს?

რამდენიმე თვის წინ კიდევ ერთხელ გაიყიდა ჭიათურის მანგანუმის წარმოება. რიგითი მოქალაქისათვის ჭიათურის ცენტრში მდებარე, ე.წ. ტრესტის შენობა არის სათავე ყოველი გასაჭირისა მუნიციპალიტეტში, თორემ „აქ რომ არ იჭმებოდეს ჭიათურის სიმდიდრე, ქალაქში ოქროს ხიდები უნდა იყოს გადებული". წარმოება, რომელიც კომუნისტურ ეპოქამდეც არსებობდა და მის შემდეგაც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე „გემრიელ" ლუკმად ქართულ ეკონომიკაში, უმეტესობის აზრით, ჩრდილოვანია.

მაკა კვარაცხელია

გასულ თვეში, კონკრეტულად, 25 მაისს, რამდენიმე მედიასაშუალებამ განაცხადა, რომ ჭიათურის მაღაროელები გაიფიცნენ, თუმცა ამდაგვარი ვერაფერი დავინახე, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვაკვირდებოდი საჩხერე-ჭიათურის მუნიციპალიტეტების ყოველდღიურ ცხოვრებას. 28 მაისს ისევ იყო მცდელობა, რომ მასშტაბური გაფიცვა დაწყებულიყო, თუმცა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა კოორდინაცია ვერ შეძლო და სოციალური მოტივით დაანონსებული გაფიცვა მორიგი ბლეფი აღმოჩნდა.

„პოსტსკრიპტუმმა" რამდენიმე კითხვით მიმართა ჭიათურის მანგანუმის მფლობელი კომპანიის „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **მაკა კვარაცხელიას**.

— თუ არ ვცდები, მარტში „ჯორჯიან მანგანეზი" ისევ გაიყიდა, მაგრამ მენეჯმენტში ცვლილება არ ჩანს... უბრალოდ, სახელის ცვლილებასთან გვაქვს საქმე?

— მხოლოდ სახელის ცვლილებასთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს. 2012 წლის დასაწყისიდან „ჯორჯიან მანგანეზის" მართვა იკისრა „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა". ეს არის მსხვილი ამერიკული კომპანია, რომელიც არამარტო ფლობს და მართავს ფეროშენადნობთა მწარმოებელ რამდენიმე ქარხანას ამერიკაში, არამედ თავისი სავაჭრო განშტოების მეშვეობით უზრუნველყოფს ამერიკის ფეროშენადნობთა ბაზრის მოთხოვნილების მსხვილ ნაწილს. იმ დროიდან მოყოლებული, „ჯორჯიან მანგანეზის" ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა ქართველი პროფესიონალებით, რომლებიც დღესაც განაგრძობენ კომპანიაში მუშაობას. მართვიდან ერთი წლის თავზე, 2013 წლის აპრილში, „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა" სრულად შეიძინა შპს „ჯორჯიან მანგანეზისა" და „ვარციხე 2005-ის" წილი, რის შემდეგაც იგი გახდა ქართული საწარმოების არამარტო მმართველი, არამედ 100%-იანი მესაკუთრეც. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქართულ ბაზარს დაემატა ერთ-ერთი მსხვილი ამერიკული ინვესტიცია.

— ამჯერად არ ვისაუბროთ ვარციხეჰესთან და ფეროშენადნობთა ქარხანასთან დაკავშირებით. გაკოტრების მმართველისგან გაყიდული „ჭიათურმანგანუმის" გასხვისება როგორ მოხდა და არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი, რომელიც გვაჩვენებს, რომ „ჯორჯიან მანგანეზმა" წესების დარღვევის გარეშე შეიძინა სამთომოპოვებითი წარმოების ფლაგმანი?

— რასაკვირველია, არსებობს კონკრეტული ხელშეკრულება, რომელიც სათანადოდ არის გაფორმებული და ნოტარიზებული. გაუგებარია, რა წესების დარღვევა გაქვთ მხედველობაში. ასეთი ბრალდების უსაფუძვლოდ გაჟღერება მიუღებლად მიგვაჩნია. შეგისწორებთ: „ჯორჯიან მანგანეზმა" „ჭიათურმანგანუმისაგან" შეიძინა ქონება (აქტივები) და არა — კომპანიის წილი. ამიტომაც არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ჭიათურმანგანუმის" გასხვისებას ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ „ჯორჯიან მანგანეზმა" დამოუკიდებლად მოიპოვა მადნის მოპოვების ლიცენზია და რეალურად დააკავშირა მადნის მოპოვება და მისი შემდგომი გადამუშავება ერთიან პროცესში, რაც სწორი და გეგმაზომიერი ეკონომიკური პოლიტიკის ნიშანია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვარციხეჰესი, ჭიათურის საბადო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ერთიანი საწამოო პროცესის კომპონენტებია. ისინი ყოველთვის ერთობლივად მოიაზრებოდნენ და ახლაც მათი ცალცალკე ფუნქციონირება ძნელი წარმოსადგენია. ზესტაფონის ქარხანაც და ვარციხეჰესის კასკადიც სწორედ იმისათვის აშენდა, რომ ჭიათურაში მოპოვებული ნედლეულიდან წარმოებული მაღალი ხარისხის საქონელი გატანილიყო მსოფლიო ბაზარზე.

— ეკოლოგიური პრობლემების თვალსაზრისით, ჭიათურა ერთ-ერთი „ლიდერი" ქალაქია. წყალი, ჰაერი, ნიადაგი — ყველაფერი დაბინძურებულია. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ეკოპრობლემების მოსაგვარებლად? გასაგებია, რომ მრეწველობა გულისხმობს ეკოპრობლემების წარმოშობას, მაგრამ მაინც...

— ჩვენი კომპანია ეკოლოგიურ საკითხებს იმდენსავე ყურადღებას უთმობს, რამდენსაც — საწარმოო ციკლში შემავალ სხვა, მნიშვნელოვან პრობლემებს. ამ მიზნით ჩვენთან მუშაობს ცალკე სამსახური, რომლის ძალისხმევის შედეგიცაა ის, რომ ჩვენ, საკუთარი ინიციატივით, საფუძველი ჩავუყარეთ რეკულტივაციის პროცესს ჭიათურაში. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: საცდელი პროექტის ფარგლებში ღია კარიერი ხელახლა გადაიფარა ნაყოფიერი ნიადაგით, მასზე გაშენდა 1000 ძირი აკაციის ნერგი, რომლებმაც უკვე იხარეს და მომავალში, მოხსნილი მიწის ნაცვლად, იქ გამწვანებული ტერიტორია დაგვხვდება. ეს პროცესი უწყვეტია და პროექტის მიხედვით მიმდინარეობს ამ ტერიტორიების განაშენიანება. გარდა ამისა, 2013 წელს შენდება ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც დახურული ციკლით მუშაობს, შესაბამისად, მდინარე ყვირილას დაბინძურების პრობლემაც გადაიჭრება. (გადამწყდა აკაციის გაშენების საკითხი და როგორც ცნობილი გახდა, 1000 ძირიდან გახარებულია მხოლოდ 650 — ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის წევრების განცხადებას **რ.ხ.**).

— სოციალური პაკეტებიდან ყველაზე მეტად ჭიათურელი მაღაროელები წუხან იმას, რომ სამედიცინო დაზღვევის სერვისი შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ზესტაფონში. ჭიათურაში ამის შესაძლებლობა უკვე აღარ არის, ე.წ. ტრესტის საავადმყოფო გაუქმებულია, ხოლო „ჯეოჰოსპიტალსის" ტევადობა სასაცილოცაა და სატირალიც. „ჯორჯიანმანგანეზის" მონაცვლე გეგმავს რაიმე პოზიტიურს ამ კუთხით?

— თქვენთვის ცნობილია, რომ კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან საოჯახო სადაზღვევო პაკეტით, რაც გულისხმობს თანამშრომლის, მისი მეუღლისა და შვილების დაზღვევას, ამასთანავე შვილთა ასაკი შეუზღუდავია. რეალურად, კომპანია 15 000 ადამიანის დაზღვევას იხდის. თქვენს მიერ აღნიშნული პრობლემა არსებობს, რომლის გადასაჭრელად კომპანია აქტიურად მუშაობს მზღვეველ კომპანიასთან. იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას მალე გადავჭრით.

— ე.წ. „პაიოკის" საკითხი გამოსწორებულია, მაგრამ სანიტარულ-ჰიგიენური და ანაზღაურების საკითხი კვლავ მაღაროელთა უკმაყოფილების მიზეზია. მაღაროელები აცხადებენ, რომ ხელმძღვანელობას ასტრონომიული ხელფასები აქვს, ხოლო თავად — კაპიკები. რას გვეტყოდით ამ საკითხზე?

— ამ საკითხთან დაკავშირებით მე ვერ დაგეთანხმებით. გარდა მშრალი ულუფებისა, სანიტარულ-ჰიგიენური საკითხი გადაჭრილია, თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ნახოთ, თუ როგორი მდგომარეობაა. მაღაროელების აბანო-გასახდელები თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებითაა გაკეთებული და, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ჩვენი თანამშრომლები კმაყოფილნი არიან იმ რემონტით, რომელიც გაკეთდა ბოლო პერიოდში. რაც შეეხება ხელფასებს, სტატისტიკურად ჩვენი თანამშრომლების სახელფასო მაჩვენებელი ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში.

***

4 ივნისს აღნიშნულმა ორგანიზაციამ 3 330 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა. დახარჯული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი უსაფრთხოების ტექნიკის შესაძენად გამოყვეს (სახანძრო და მტვერშემკრები მანქანების გარდა, გზის სარწყავიც, რომლის გამოყენება მაღალი ტემპერატურის დროს აუცილებელია ქალაქის ქუჩებში). ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმაც განაცხადა, რომ „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზისა" და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობებში პოზიტივებია იმ მხრივ, რომ მწარმოებელი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას დაიწყებს.

როლანდ ხოჯანაშვილი

„სოფლის პროგრამა" არასოფლური პრიორიტეტებით

ხონში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა. როგორც ხონის მუნიციპალიტეტში ამბობენ, ამ ეტაპზე პროექტის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტზე მუშაობენ, რის შემდეგაც შემუშავდება ყველა სოფლისთვის გათვალისწინებული ინდივიდუალური პროექტი.

„P.S. ფოტო" ©

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ყველა რაიონის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა, რაიონის მოსახლეობასთან შეთანხმებით, კონკრეტული სოფლის საჭიროებების მიხედვით უნდა დაიხარჯოს. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლებისთვის თანხის გადანაწილება ხდება არა არსებული პრობლემის გათვალისწინებით, არამედ — კონკრეტულ სოფელში მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, როგორც მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები ამბობენ, ამის გამო, სოფლის რეალური საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება.

„ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. აკეთებენ იმას, რაც უფრო იაფი უჯდებათ. დასაქმება გვინდა ხალხს, სასმელი წყალი არ გვაქვს რამდენიმე წელია. უამრავი პრობლემაა სოფელში, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს," — ამბობს სოფელ ძეძილეთის მცხოვრები **ლევან გვიშიანი**.

მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ხონის რაიონში ყოველწლიურად ხორციელდება, მოსახლეობის დიდი ნაწილი პროექტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

„არ ვიცი, არ გამიგია ამ პროექტის შესახებ. არავის არ უკითხავს ჩვენთვის რა პრობლემა გაქვთ და რით მოგეხმაროთო," — ამბობს სოფელ ივანდიდის მცხოვრები **დალი ბახტაძე**.

ისეთ დიდ სოფლებში, როგორიცაა ძეძილეთი და დედალაური, რამდენიმე წელია, მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა აქვს. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, პრობლემის მოგვარება არაერთხელ დადგა დღის წესრიგში, თუმცა შესაბამისი თანხების მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში ვერ მოხერხდა.

რაიონის გამგებლის თქმით, შემუშავების პროცესშია პროექტი, რომლითაც აღნიშნულ სოფელში სასმელი წყლის პრობლემა უახლოეს მომავალში მოგვარდება.

„ჩვენი ბიუჯეტი ვერ წვდება ასეთ მასშტაბურ საკითხებს. ვერც სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში ხერხდება მისი ჩასმა, ამიტომ ასეთ შემთხვევებში მგფ გვეხმარება ხოლმე. ახლა შემუშავების პროცესშია 300 ათას ლარიანი პროექტი, რომლის მიხედვითაც სოფელ ძეძილეთში საბოლოოდ გადაწყდება ეს საკითხი," — ამბობს ხონის გამგებელი **ზურაბ ჯიბუხაია.**

ხონის ბიუჯეტი, ისევე როგორც იმერეთის ყველა რაიონის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, ტრანსფერის თანხაზეა დამოკიდებული. მიმდინარე წელს ქალაქის ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლები მხოლოდ 200 ათასი ლარია. მიზერული შემოსავლების გამო, რაიონი ვერ ახერხებს ინდივიდუალური პროექტების დაგეგმვას და მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად პრიორიტეტების გადანაწილებას.

მაგალითად, მიმდინარე წლის ბიუჯეტში, გასული წლების მსგავსად, მთავარ პრიორიტეტს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა რაიონში ერთ-ერთი მასშტაბური და სოფელ ძეძილეთის მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება. გარდა ამისა, სოფელ ივანდიდის მოსახლეობა რამდენიმე წელია, ითხოვს გზის მოასფალტებას, რაც ასევე დღემდე გადაუჭრელი საკითხია.

მიმდინარე წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხონის მუნიციპალიტეტმა ნახევარ მილიონ ლარზე მეტი მიიღო. როგორც მუნიციპალიტეტში ამბობენ, სოფლებში განსახორციელებელი პროექტების თვალსაზრისით, ძირითადი პრიორიტეტები უკვე გამოკვეთილია. კერძოდ, ისევე, როგორც გასულ წლებში, თანხა მოხმარდება გზების, სკვერების, წყლის სისტემის შეკეთებას, მოედნების, სასაფლაოების შემორაგვასა და სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

პროექტის განხორციელება, დაახლოებით, ორ კვირაში უნდა დაიწყოს.

მარი პატარაია

ხელისუფალნო, დაგვიბრუნეთ ჩვენი დედები!

„გამარჯობა დედა!" ყველაფრისდამტევი ეს ორი სიტყვა ნოდარ დუმბაძის რომანიდანაა — „მზიანი ღამე". 8 წლის ბიჭს დედა გვერდიდან ააცალეს, ცრემლსა და ტკივილში დატოვეს და წლების შემდეგ უკან დაბრუნებულ მშობელს, შვილმა დედა ვეღარ დაუძახა.

„თორმეტი წელი არ მინახავს... ახლა მელოდება, რომ დედა დავუძახო, მე კი ვერ ვეძახი, გაიგე?... იმიტომ, რომ მრცხვენია... კი არ მრცხვენია, მეშინია... კი არ მეშინია, გ ა დ ა ვ ე ჩ ვ ი ე... გაიგე?" — თემურ ბარამიძის ამ სიტყვებით ასობით ქართველი ბავშვის ტკივილი ცხადდება, რომელთა დედები უვადო, ნებაყოფილობით გადასახლებაში იმყოფებიან. ყველანაირი გადასახლება, გაქცევა, გადახვეწა, ემიგრაცია ერთსა და იმავე ჭრილობას აჩენს და მერე ამ ჭრილობებს აღარაფერი შველის.

ქართველი ქალების მიერ ოჯახებისა და შვილების ნებაყოფილობით მიტოვება 15 წლის უკან დაიწყო და დღესაც გრძელდება (მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდება). შედეგები კატასტროფულია. მოდის უდედოდ გაზრდილი თაობა და... გეშინოდეთ! ბავშვების უმრავლესობა ყველას და ყველაფერს უჯანყდება, ზოგი უძლებს, ზოგიც სიკვდილს ამჯობინებს... გამკითხავი არავინაა. ე.წ. ერისკაცები პირველი სკამებისათვის იბრძვიან, ღვთისმსახურები იერარქიული კიბისთვის... რატომღაც ყველას გულისკარი დაკეტილი, თვალები დაშრეტილი და ყურები დახშული აქვს...

ინა გოგელაშვილისთვის უდედობის ხანა 9 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ანა ჯანელიძისთვის კი 12 წლიდან...

ინა: „ოჯახში სამი შვილი ვართ, ყველაზე პატარა მე ვარ და ყველაზე მეტად მე ვიყავი დედის კალთას შეფარებული. დედა იყო პატარა მზე, რომლის გარშემო ჩვენ ვმოძრაობდით. მზე, რომელიც გვათბობდა, გვიცინოდა, გვახარებდა, ულამაზეს კაბებს გვიკერავდა და უგემრიელეს ხაჭაპურს გვიცხობდა. დედაჩემის საზღვარგარეთ წასვლა მთელმა ოჯახმა ჩემთან „შეათანხმა". თავიდან ვერ ვაცნობიერებდი, რატომ იყო ჩემი თანხმობა ასე მნიშვნელოვანი. „დედა წავიდეს, მაგრამ მხოლოდ სამი დღით" - ვთქვი და დედა წავიდა. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. დედამ გადაგვკოცნა და ავტობუსს მიაშურა. ჩემმა დამ მიაძახა: „დე, მეორედაც მაკოცე, რა!" დედა მობრუნდა, ცრემლიანი თვალები შეიმშრალა და ისევ გადაგვკოცნა. ჩვენ დავრჩით. დედა წავიდა და მოვიდა უდიდესი სიცარიელე, გაუსაძლისი მონატრება და უამრავი ცრემლიანი ღამე... ჩემს მიერ გაცემული თანხმობა სამი დღის შესახებ 3345 დღედ იქცა..."

ანა და მისი დედა

ინა და მისი დედა

ანა: „დედასთან გაწშორება ყველაზე ტკივილიან დღედ დარჩა ჩემს ცხოვრებაში. დავრჩი ორ ძმასთან და მამასთან ერთად. არაფერს მაკლებდნენ, მაგრამ დედის შეცვლა არავის და არაფერს შეეძლო. ჩემი ოთახი დედის სურათებით ავავსე და ყოველ საღამოს ცრემლიანი თვალებით ვეკითხებოდი: „დე, რატომ მიმატოვე? დე, რა გაგაბრაზე ასე, რომ ჩემთან ყოფნა არ გინდა?" და ასე დაუსრულებლად გრძელდებოდა სამი წელიწადი. არაფერი მაკლდა და არაფერი მქონდა. დამიჯერეთ, კომპიუტერში დანახული დედა დედა არ არის. ვერ გავუძელი, მიხვდნენ, რომ რაღაც დამემართებოდა და ცხრა კლასის დამთავრებისთანავე დედასთან წავედი..."

ინა: „ბავშვისთვის უდედობა დიდი სასჯელია. ბავშვის გულის გასაღები მხოლოდ დედას აბარია. დედასა და შვილს შორის უხილავი ძაფებია და ვაი მას, ვისაც ეს ძაფები დაუწყდება. სამყარო შეგძულდება, სიცოცხლე გაუფერულდება და უდიდესი გულგრილობა დაგიპყრობს. გულგრილობას კი შეუძლია უდიდესი ცოდვები ჩაგადენინოს. ჩემი ბავშვობის ეს მძიმე პერიოდი კლასის დამრიგებელმა, ქალბატონმა ინეზა გაბელიამ გადამატანინა. ეს მან და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა, ბატონმა დავით შავიანიძემ შემაძლებინეს ყურადღების, გრძნობების, სურვილების მობილიზება. სკოლა, მასწავლებლები, მეგობრები და ჩემი მამა მაშველ რგოლად მექცნენ... და მე გადავურჩი უდედოდ ყოფნის განუზომელ ტკივილს."

ანა: „მე კი სუსტი გამოვდექი. არავინ მინდოდა. მინდოდა ჩემი დედა. დედა მექცა ყოფნა-არყოფნის წერტილად... იტალიაში ჩასულმა დედა ვეღარ ვიცანი. ეს არ იყო ის ქალი, რომელიც ოთხი წლის უკან სადღაც დამეკარგა. სევდიანი, ღიმილგამქრალი სახე და გაუცნობება... პირველ ხანებში დავიტანჯე. დედას ისევ 12 წლის გოგო ვეგონე, მეფერებოდა და როგორც ბავშვს, ისე მექცეოდა, მე კი თავს ბავშვად აღარ ვთვლიდი. მე სხვა რამ მჭირდებოდა და, სანამ ჩვენი ურთიერთობა დალაგდებოდა, კიდევ უფრო მეტ ტკივილებს გავუძელი."

ინა: „გასულ წელს დედამ მიწვევა გამიკეთა და იტალიაში ერთი თვით ჩავედი. მე არ მაღელვებდა რომი, ვენეცია, ბარი, მილანი, მე დედასთან შეხვედრა მაღელვებდა. ჩემი დედა, თავისი ულამაზესი ცისფერი თვალებით, ცრემლებს რომ ძლივს იკავებდა, განუწყვეტლივ იმეორებდა: „ინა, ჩამოხვედი?! ინა, შენა ხარ?!" ჩემში რაღაც გალღვა, რაღაც მოდუნდა, ვიგრძენი უსაშველო შვება და გულის საოცარი აფეთქება, ისეთი აფეთქება, რომ სიცოცხლე მომინდა... თავი ზღაპარში მეგონა — ერთი თვე დედასთან. მსგავსი ფუფუნება ჩემთვის არ არსებობდა... დედამ შეძლო, უდედოდ გატარებული წლები ამოევსო. ის უხილავი ძაფები გაემაგრებინა და მეორე სიცოცხლე ეჩუქებინა."

ორი უდედოდ გაზრდილი გოგონას ისტორია, ასობით მსგავსი და უარესი...

ინა გოგელაშვილისა და ანა ჯანელიძისათვის ბავშვობა დასრულდა. სიცოცხლე გრძელდება. ინა ისევ უდედოდაა, თავის ქვეყანაში, ორპირის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის წარჩინებული მოსწავლეა, სასკოლო ცხოვრების აქტიური შემოქმედია, მრავალ კონკურსში გამარჯვებულია. მისი დიდი სურვილია სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აუცილებლად სახელმწიფო დაფინანსებით, რომ ოჯახს ფინანსური პრობლემები არ შეუქმნას და დედა შინ, თავის გვერდით ჰყავდეს, რადგან ის შვილისთვის ყველა ასაკში საჭიროა.

ანა იტალიაში დარჩა დედასთან. სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა. იტალიური ენის შემსწავლელი კურსები დაამთავრა. რამდენიმე ხნით ოჯახში, იტალიელ ბავშვებთან იმუშავა. ახლა ბაირონის სახელობის ინგლისურ კოლეჯში სწავლობს. სწავლა საკმაოდ ძვირადღირებულია და პერიოდულად მუშაობს კიდეც. ერთის მხრივ ბედნიერია, რომ დედასთან არის, მეორეს მხრივ წინ უამრავ სიძნელეებს ხედავს, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად. მაგრამ იმედიანად ამბობს: „ვიბრძოლებ ჩემი მიზნებისთვის".

ორივე გოგონა ტიპური ქართული ოჯახიდანაა. ორივემ ერთნაირად გადაიტანა უმძიმესი ბავშვობა, სხვადასხვანაირად, მაგრამ გაუძლეს. ორივეს ერთად თითო სათხოვარი აქვთ:

ინა: „უდედოდ დარჩენილო ბავშვებო, გახსოვდეთ, ჩვენი დედები საზღვარგარეთ ბედნიერები არ არიან. უმძიმესია მათი 24 საათიანი სამუშაო დღე და საოცრად დამთრგუნველია შვილებისგან შორს ყოფნა."

ანა: „საქართველოს ხელისუფალნო, იქნებ გაიხსენოთ, რომ თქვენც იყავით ბავშვები და თქვენი დედების სახით პატივი ეცით ჩვენს დედებს. დაგვიბრუნეთ ისინი!"

ისევ ნოდარ დუმბაძეს მოვიშველიებ: „ეს იმ დედას გაუმარჯოს თორმეტი წელი რომ შვილი არ უნახავს, თორმეტი წელი იჯდა, ელოდა და ჯიგარი არ გაუხმა. მაინც თავისი ლეკვი მონახა და შვილი დაუძახა. იმ დედას გაუმარჯოს ღამე რომ არ სძინავს, იმიტომ კი არა, რომ არ უნდა დაიძინოს, იმიტომ, რომ არ ეძინება და გათენებას ელოდება."

ასობით ქართველი ბავშვი ელოდება საქართველოში ჩამოწოლილი ღამის გათენებას. გათენებას, რომელსაც დედების შინ დაბრუნება მოჰყვება.

ნათია სვანიძე

საზოგადოება სამალავებში აღმოჩენილი კადრების გასაჯაროებას ითხოვს

რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ინფორმაცია გაავრცელა სამეგრელოში, ე.წ. სამალავებში აღმოჩენილი ვიდეომასალის შესახებ. როგორც ცნობილი გახდა, წინა ხელისუფლების დროს გადაღებული კადრები ადამიანის წამების და არასათანადო მოპყრობას ასახავს.

მომხდარს უმალვე მოჰყვა გამოხმაურება საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების და ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან.

პატიმრობაში მყოფმა ვანო მერაბიშვილმა ხელისუფლებას განცხადების გაკეთებამდე საქმის გამოძიება ურჩია და დასძინა, რომ მისი მინისტრობის დროს მომხდარზე ყოველნაირ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

კადრები, თავდაპირველად, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებს აჩვენეს. შეშფოთებულმა უცხოელებმა დარბაზი უკომენტაროდ დატოვეს.

20 ივნისს კი კადრების სანახავად შს მინისტრმა ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, ნანახმა კადრებმა მედიის წარმომადგენლებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კადრებში მოქალაქეთა შესაძლო იდენტიფიცირების მიზეზით, შეხვედრა პირველი არხის ჟურნალისტებმა დავით პაიჭაძემ და ეკა კვესიტაძემ, ასევე ჟურნალისტმა ნესტან ცეცხლაძემ და საია-ს თავმჯდომარემ კახა კოჟორიძემ დატოვეს.

თუმცა, მათგან განსხვავებით, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლის, თამარ გაბისონიას განცხადებით, კადრებში ვინმეს იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო, ვინაიდან გათიშული ხმა ისმოდა და მოქალაქეებს სახეები დამალული ჰქონდათ.

ჟურნალისტ შალვა რამიშვილის განცხადებით, „კადრები ყოფილი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა უნდა ნახონ, რათა პასუხისმგებლობა იგრძნონ."

„პირველ რიგში, ჩემი აზრით, ეს მასალა უნდა ნახოს შეზღუდული წრიდან ადამიანებმა, რომ იმ სკეპტიკოსებს გასცენ პასუხი, რომლებიც ამბობენ, რომ ეს მასალები არ არსებობს და შეთითხნილია. მეორე, ეს უნდა ნახონ ყოფილი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა მედიასაშუალებებში მომუშავე ადამიანებმა, რათა იგრძნონ პასუხისმგებლობა, რომ ისეთ რეჟიმს უჭერდნენ მხარს, რომელიც ამ ყველაფერს უშვებდა," — განაცხადა რამიშვილმა.

მიუხედავად სიმძიმისა, აღნიშნული კადრების მიმართ საზოგადოების ინტერესი დიდია. მოსახლეობის ნაწილი ითხოვს, რომ წინა ხელისუფლების რეალური სახის გამოსააშკარავებლად კადრები გასაჯაროვდეს.

შევეცადეთ, მცირე გამოკითხვით გაგვეგო საზოგადოების აზრი ფარული კადრების გასაჯაროებაზე და გაგვერკვია მათი მოსაზრება, უნდა განადგურდეს თუ არა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა.

ქეთო აბულაძე, ქუთაისის მცხოვრები: „ამაზრზენი, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ ადამიანების ქმედებას, რომელთაც ეს კადრები გადაიღეს, როგორ შეიძლება, ჯანმრთელ ადამიანს ასეთი აზრები მოუვიდეს თავში? აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს ეს მასალა და ყველა დამნაშავე პირი დაისაჯოს, რათა ეს იყოს მაგალითი ყველასთვის."

თათია, 22 წლის, სტუდენტი: „კადრების აღმოჩენა და „ნაციონალების" დაკავება სწორედ მაშინ ხდება, როდესაც ხელისუფლებას რაიმე ფაქტის გადაფარვა უნდა. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რადგან არ მინახავს, მაგრამ მგონია, რომ ეს ვიდეომასალა ფალსიფიცირებულია. აუცილებელია, მათ ექსპერტიზა ჩაუტარდეს და ნამდვილობა დადგინდეს, ამის მერე კიდევ შესაძლებელია განცხადებების გაკეთება და ვინმეს დადანაშაულება. რაც შეეხება კადრებს, უნდა განადგურდეს, რადგან არ არსებობს აუცილებლობა, რის გამოც მათი შენახვაა საჭირო. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ პირადი ცხოვრების ამსახველ არსებულ სხვა კადრებსაც ვგულისხმობ."

გიგი ცეცხლაძე, ეკონომისტი: „რა გიკვირთ, ციხის კადრების მერე და საერთოდაც რას ჩადიოდა წინა ხელისუფლება, ვინმესთვის სიახლე იყო, თუ? გასაოცარია, როგორ ვიცხოვრეთ ასეთ ყოფაში, რა დღეში ვიყავით! თუმცა, ჩვენი ბრალია, ყველა დანაშაულზე თვალს რომ ვხუჭავდით და შევეჩვიეთ შიშში ცხოვრებას. რა თქმა უნდა, ეს კადრები უნდა განადგურდეს, რა მიზეზით უნდა შეინახონ, ვის რაში სჭირდება?"

ანზორ თავაძე, ქუთაისის მცხოვრები: „დაიღალა საზოგადოება ამდენი სისაძაგლით, ხალხზე არავინ ფიქრობს, არავის აინტერესებს მოქალაქეების ფსიქიკა, როგორ მიიღებენ ამ ინფორმაციას. რაღაც დონეზე ყველამ გავიგეთ, რაც ხდებოდა და აღარაა აუცილებელი მათი ჩვენება და მათზე საუბარი. გაასაჯაროვონ კადრების რაღაც ნაწილი მაინც, თუმცა ისე, რომ ამ ადამიანების უფლებები აღარ დაირღვეს. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს"

ვანო, 55 წლის, ქუთაისის მცხოვრები: „საშინელებაა, რაც გახმაურდა, მაგრამ კადრები თუ წაიშლება, შესაბამისად, ვეღარ მოხდება დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა. რაც „ნაციონალების" წისქვილზე დაასხამს წყალს. ამიტომ ჯერ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ და, თუ მაინცდამაინც, შემდეგ მოხდეს განადგურება. იმათთვის კი, ვისაც ამ კადრების რეალურობის არ სჯერა, კადრები უნდა გასაჯაროვდეს, რათა ყველამ ისწავლოს სინამდვილის დანახვა.

მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც.

მანანა მანაგაძე, „საზოგადოებრივი მონიტორინგის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი: „იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რასთან გვქონდა საქმე და რამდენად დანაშაულებრივი იყო ის რეჟიმი, რომელშიც მთელი 9 წელი ვცხოვრობდით, ხსენებული კადრები უნდა გასაჯაროვდეს, მაგრამ, ამავდროულად, ეს უნდა მოხდეს ძალიან დელიკატურად. ისე, რომ არ დაირღვეს იმ ადამიანების უფლებები, რომლებიც ამ წამების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდნენ, არამარტო იმ ადამიანების, მათი ოჯახის წევრების და ახლობლების უფლებები უნდა იყოს დაცული. როგორც აღვნიშნე, ეს ძალიან დელიკატურად უნდა გაკეთდეს. ეს კადრები საზოგადოებამ გარკვეული დოზით უნდა ნახოს."

ეკა სვანიძე, ადვოკატი: „როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან გავიგე, ეს არის შემზარავი კადრები. ვფიქრობ, რომ ეს პროცესი აუცილებლად სასამართლომდე უნდა მივიდეს. ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საშინელ პროცესში, აუცილებლად უნდა დაისაჯონ. ეს თუ არ მოხდება უახლოეს პერიოდში, მსგავსი რამ მომავალში აუცილებლად მოხდება. შემდეგ სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ეს ფირები უნდა გასაჯაროვდეს თუ არა. ჩემი, როგორც იურისტის, აზრით, რაღაც მომენტში ეს კადრები უნდა გასაჯაროვდეს, რათა ხალხმა დაინახოს რა ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს და როგორ ექცეოდნენ ადამიანებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მომსახურება სასამართლო დავების მიზეზი ხდება

ჯანმრთელობის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვისა და მისი მოგვარების მექანიზმებზე იმსჯელეს კოალიციის „ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში" წარმომადგენლებმა ქუთაისელ ადვოკატებთან ერთად. შეხვედრაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებულ ხარვეზებზე გამახვილდა ყურადღება. კოალიცია ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომელიც ეხება ჯანდაცვის სფეროში დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდის დანერგვასა და მედიაციის ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში მოეწყობა შეხვედრები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. ორგანიზატორების ინფორმაციით, საზოგადოების ფართო მასების ინფორმირებისათვის შეხვედრები სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც მოეწყობა.

ნანა ზავრადაშვილი, კოალიციის აღმასრულებელი დირექტორი: „პროექტის მიზანია, განავითაროს და ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში მართლშეგნების დონის ამაღლებას და კანონის პატივისცემის დამკვიდრებას. სხვა მიმართულებებთან ერთად კოალიცია განახორციელებს საზოგადოების და მასში არსებული მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვას. ჩვენ დაწესებულებებში მცირე გამოკითხვა ჩავატარეთ, რითაც გვინდოდა გამოგვევლინა არსებული პრობლემები, მაგალითად, ადამიანები ჩივიან იმის გამო, რომ მომსახურებას ვერ იღებენ, ასევე, ჩივიან ხანგრძლივი ლოდინის გამოც, რისთვისაც პაციენტებს სამედიცინო დაწესებულებებში დამატებითი მომსახურების გადახდა უწევთ.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტთა უფლებების უკეთესი რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება მათი უფლებებისა და არსებული კანონმდებლობის შესახებ. იმისათვის, რომ იბრძოლო შენი უფლების დასაცავად, კარგად უნდა იცნობდე ამ უფლებას და, შესაბამისად, კანონის ფარგლებში მოითხოვო საკუთარი უფლებების დაცვა."

საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვა მწვავე პრობლემად რჩება. ბოლო წლებში მიმდინარეობს ჯანდაცვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რეალობა აჩვენებს, რომ სამედიცინო კლინიკებსა და დაწესებულებებში მომრავლდა პაციენტთა პრეტენზიები სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიმართ, იმატა სასამართლო სარჩელებმაც.

ქეთი სვანიძე, ადვოკატი: „დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ადვოკატებისათვის. ვისაუბრეთ ამ სფეროში არსებულ პრობლემატიკაზე. ამ ტრეინინგების გავლის შემდეგ, საშუალება გვექნება, უკეთესად ვიმუშაოთ ამ კუთხით და პაციენტებს სრულყოფილი მომსახურება გავუწიოთ."

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტის კატასტროფული რისკები

ინტერნეტპორტალ www.psnews.ge-თან არსებულ Press-კლუბში მორიგი პრესკონფერენცია გაიმართა, ამჯერად — ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი გოგელაშვილის მონაწილეობით. პრესკონფერენციის მთავარი თემა საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგი იყო.

„P.S.ფოტო" ©
გიორგი გოგელაშვილი

სარევიზიო კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა, რომელიც ქუთაისის მერიის რამდენიმე სამსახურის მიერ საბიუჯეტო თანხების განკარგვას ასახავს, საგანგაშო სურათს იძლევა: დასკვნის თანახმად, არაფინანსური აქტივებიდან შემოსული თანხა ბიუჯეტით გათვლილი თანხის მხოლოდ 9,5 პროცენტია, რაც საგანგაშოა ბიუჯეტის შესრულების კუთხით, და იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ქალაქში პრივატიზაციის პროცესი, ფაქტობრივად, გაჩერებულია.

ქუთაისის ბიუჯეტს „კატასტროფული" უწოდა ქალაქის მერმა, დიმიტრი კოპალიანმაც. მისივე განცხადებით, სწორედ არასწორად გაწერილმა ბიუჯეტმა გამოიწვია მერიაში რეორგანიზაციის საჭიროება. იქონია თუ არა საკრებულოს სარევიზიო კომიტეტის დასკვნამ გავლენა მერიის სამსახურების უფროსების გათავისუფლებაზე და უკავშირდება თუ არა საბიუჯეტო კრიზისი მერიაში მიმდინარე კადრების ოპტიმიზაციას? ამ კითხვებზე გიორგი გოგელაშვილის პასუხი ასეთია: „ქუთაისის ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლები 17 200 000 ლარს შეადგენს, აქედან 5 მილიონი ლარი მიდის ხელფასებზე. ამ მიმართულებით, მე ვეთანხმები ქალაქის მერს, 17 მილიონიდან სერიოზული თანხა მიდის ადმინისტრაციული რესურსის შენახვაზე... ჩვენ არა ვართ სოციალურად განვითარებული ქვეყანა, რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი. მე მგონი, ის თანხები, რომელიც მიდის ადმინისტრაციული რესურსის შენახვაზე, უმჯობესია, გადანაწილდეს სოციალურ პროგრამებზე ან სხვა პროგრამებზე, როგორიცაა ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამა, რომლის განვითარებაც უკეთესს შედეგს მოუტანს ქალაქს... რეორგანიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ მობილური და მოქნილი იყოს ყველა პროგრამა. და თითოეულმა თანამოქალაქემ მიღოს ის მოსალოდნელი შედეგი, რაზეც არის გათვლილი ბიუჯეტი, ზოგადად."

სარევიზიო კომისიის მიერ ამ ეტაპზე შემოწმებულია მერიის 4 სამსახურის: საბინაო, დასუფთავების, ქონების მართვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობა. შემოწმების შედეგად მიღებულ მოკვლევაში რამდენიმე ციფრი განსაკუთრებით საინტერესოა — საბინაო სამსახურის პროგრამა „კორპუსის" ფარგლებში 5 თვის განმავლობაში მხოლოდ 17,5 პროცენტი, რაც თანხობრივად 450 900 ლარს შეადგენს, როცა ბიუჯეტით 2 519 000 ლარია გათვლილი. ეს გამოიწვია იმან, რომ ტენდერები საბინაო სამსახურმა დაგვიანებით ჩაატარა. თებერვლის მაგივრად გამოცხადდა აპრილის თვეში, ტენდერების ასეთმა დაგვიანებულმა გამოცხადებამ, ბუნებრივია, შეაფერხა სამუშაო პროცესები. გოგიტა გოგელაშვილის აზრით, ქუთაისში ბევრი კორპუსი, შესაძლოა, ზამთრის პერიოდში გადაუხურავი, ღია ცის ქვეშ დარჩეს .

გარკვეული ცდომილებებია დასუფთავების სამსახურის ბიუჯეტშიც. ბიუჯეტით დასუფთავების სამსახურისთვის 1 400 000 ლარია დაგეგმილი. ქუთაისში 60 000 ოჯახი და 5 ათასამდე იურიდიული პირია და მათგან მხოლოდ 1 150 000 ამოღებაა შესაძლებელი. თუმცა გაცილებით დიდი ციფრი იქნა ბიუჯეტში ჩადებული, გოგიტა გოგელაშვილის აზრით, თანხის გაზრდა ხელოვნურად მოხდა, რათა, ბიუჯეტის შესრულების მოტივით, ტარიფის გაზრდა მომხდარიყო.

გოგიტა გოგელაშვილი: „საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ბიუჯეტის ასეთი გაწერა მიზანმიმართულად ხდებოდა, რათა მომხდარიყო ბიუჯეტის სეკვესტრი. შევარდნაძის პერიოდის მერე, ბიუჯეტის სეკვესტრი არ მომხდარა, ეს არის სერიოზული ლაფსუსი იმ ხელისუფლების, რომლის მმართველობის პერიოდშიც ხდება ასეთი რამ. მინდა გავუცრუო ოცნებები იმ ადამიანებს, ვინც ამას ელოდებოდა, ჩვენ გვაქვს სამუშაო გეგმა, და ამ ბიუჯეტს ბოლომდე მივიყვანთ."

კანონის თანახმად, 2014 წლის ბიუჯეტზე მუშაობა საკრებულოს მარტის თვეში უნდა დაეწყო. თუმცა, მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესმა 2014 წლის ბიუჯეტზე ზრუნვა გადადო. საკრებულოს სარევიზიო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ 2014 წლის ბიუჯეტი ხალხთან ერთად მიღებული და ხალხის ბიუჯეტი იქნება.

ნათია ბილიხოძე
psnews.ge

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს პარტნიორთათვის

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახნაგანმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე, ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროდუქტებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „ელიტაუდიტი"
ქუთაისი. 30 აპრილი, 2013 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2012	2011
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	336451	234657
მთლიანი სესხის პორტფელი	3721650	2134930
სამეურნეო მასალები (მარაგები)		
წინასწარ გადახდილი ხარჯები (ავანსები)	87858	97286
	4145959	**2466872**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	304883	80633
არამატერიალური აქტივები	34834	21826
	339717	**102460**
მთლიანი აქტივები	**4485676**	**2569332**
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	16172	2934
საგადასახადო ვალდებულება	131976	47799
	148148	**50733**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
დროებით შეზღუდული შემოსავლები		
მიღებული გრანტიდან		
გრძელვადიანი სესხი	3273295	1988429
	3273295	**1988429**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	250000	250000
გაუნაწილებელი მოგება	814233	280170
	1064233	**530170**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**4485676**	**2569332**

დირექტორი **თ. რიაბუხა**
ბუღალტერი **ლ. კურტანიძე**

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2012	2011
საპროცენტო შემოსავალი	1309944	553951
ფინანსური მომსახურების საკომისიო	113986	59325
შემოსავალი ჯარიმებიდან	236814	126062
სხვა შემოსავალი	100627	70727
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	--	--
საერთო მოგება	1761371	**810065**
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	-438559	-273117
ფინანსური ხარჯი	-500365	-187519
სხვა (ხარჯი)/ შემოსავალი	-6518	-25698
მოგება დაბეგვრამდე	**815930**	**323730**
მოგების გადასახადის ხარჯი	-129334	-47059
წმინდა მოგება	**686595**	**276671**
სხვა სრული შემოსავალი	--	--
სრული შემოსავალი	686595	**276671**

დირექტორი **თ. რიაბუხა**
ბუღალტერი **ლ. კურტანიძე**

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"
ანგარიშგება საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2011 წელი			
მფლობელთა შენატანი	250000		
წმინდა მოგება		280170	280170
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის	**250000**	**280170**	**530170**
2012 წელი			
გაუნაწილებელი დივიდენდი		-152532	-152532
მფლობელთა შენატანი			0
წმინდა მოგება		686595	686595
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**250000**	**814233**	**1064233**
დირექტორი		**თ. რიაბუხა**	
ბუღალტერი		ლ. კურტანიძე	

1 ივლისიდან საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპი დაიწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ 1 ივლისიდან საქართველოს მოსახლეობის აღწერა დაიწყება.

ნარმანიას თქმით, აღნიშნული სამუშაოების პირველი ნაწილი რეგიონების მიხედვით განაწილდება და, თავდაპირველად, სამ რეგიონს — აჭარას, გურიას და კახეთს მოიცავს. 2013 წლის ნოემბრიდან კი ოჯახების წინასწარი სიების შედგენა საქართველოს სხვა რეგიონებში გაგრძელდება.

„მოსახლეობის აღწერის მსოფლიოში გავრცელებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საყოველთაო აღწერის განსახორციელებლად, აუცილებელია შენობებისა და მათში, ფაქტობრივად, მცხოვრები ოჯახების წინასწარი სიების შედგენა. აღნიშნული სიების დადგენა ქვეყნის ყველა სოფელსა და ქალაქს მოიცავს," — განაცხადა ნარმანიამ.

„საბოლოოდ ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნება იმისათვის, რათა მთავრობამ უფრო მარტივად და ეფექტურად დაგეგმოს განსახორციელებელი პროგრამები," — განაცხადა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დირექტორმა ზაზა ჭელიძემ.

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 18 მილიონი ლარია. აღწერის პირველადი შედეგები კი 2015 წლის გაზაფხულისთვის გახდება ცნობილი. საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ბოლოს 2002 წელს ჩატარდა.

psnews.ge

იანეთში მცხოვრები რეპატრირებული მესხები თავს განდეგილებად გრძნობენ

19 ივნისს საინიციატივო ჯგუფის „ლიდერები რეგიონებისთვის" წევრებმა შეხვედრა გამართეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-9 უბანში მცხოვრებ რეპატრირებულ მესხებთან.

დასახლებაში სულ 30 ოჯახი ცხოვრობს. ჯგუფის წევრები მოსახლეობას ესაუბრნენ მათ პრობლემებზე. მათ გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ მიუხედავად იმისა, დასახლება ახლოსაა ქუთაისთან და ეკუთვნის სამტრედიის მუნიციპალიტეტს, ბევრმა არც კი იცის მათი არსებობის შესახებ და ისინი იზოლირებული არიან, ეს ხელს უშლის მათ განვითარებას და ვერ ახერხებენ ინტეგრაციას.

შეხვედრა გაიმართა იანეთის საჯარო სკოლაში. სკოლაში პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით არის სწავლება და სულ 27 მოსწავლეა. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

ცოტა ხნის წინ მათ სპორტულ დარბაზს და რამდენიმე საკლასო ოთახს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა ჯერ ისევ პრობლემად რჩება გათბობა და სხვა საკლასო ოთახების კეთილდღეობა. გარდა ამისა, ახალგაზრდებს არ ეძლევათ საშუალება, აიმაღლონ სამოქალაქო განათლების დონე და ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობებში.

შეხვედრას ესწრებოდა რამდენიმე მასწავლებელი, ადგილობრივი მოსახლეობა და ახალგაზრდები.

psnews.ge

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი" პარტნიორებს

®

საქართველო
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„აქტივი"
მის. ქუთაისი, ჭყონდიდელის 46
ტ. 897 60 21 00

Georgia
LTD
„AKTIVI"
Kutaisi chkondideli str 46
T. 897 60 21 00

„03" მარტი 2013 წელი
ლიცენზია ზ№ბაფ/051

აუდიტორული დასკვნა

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ რეგისტრირებული შპს „აქტივი"-ს აუდიტორ (ლიცენზია ზ№ბაფ/051) ირაკლი რუხაძისა და ამავე ფირმის სპეციალისტის მურმან კობახიძის მიერ.

აუდიტის საგანია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი"-ს (საიდენთიფიკაციო კოდი 412675779) 2012 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 01 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება.

შემოწმება ჩატარდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. საზოგადოებაში ფინანსური ოპერაციების ძირითადი ასპექტების შემოწმება მოხდა შერჩევით.

აღრიცხვის ფაქტიური მდგომარეობის შემოწმების მიზნით წარმოდგენილი იქნა აღრიცხვის ყველა საბუთი. შემოწმდა საბიუჯეტო და სხვა ფონდების დარიცხვა, გადარიცხვის სისწორე, ხელფასები, სალარო და საკასო ოპერაციები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საზოგადოებაში საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღრიცხვა მოწესრიგებულია.

ვუდასტურებთ წარდგენილ საფინანსო მაჩვენებლებს.

დასკვნა დადებითია

შპს „აქტივი"-ს
აუდიტორი: /ი. რუხაძე/
სპეციალისტი: /მ. კობახიძე/

მოგება ზარალის წლიური ანგარიშგება			
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) "სვის კრედიტი"**			
ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: **შპს**			
მისამართი: **საქართველო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. N9**			
საქმიანოის ტიპი: **სესხები, სვალუტო და სალომბარდო მომსახურეობა**			
ზომის ერთეული: **ლარი**			
	31.12.2012		**31.12.2011**
ამონაგები	326 314,24		126 231,69
სხვა შემოსავლები	331 030,72		95 588,95
საერთო მოგება	**657 344,96**		**221 820,64**
შრომის ანაზღაურება	(92 343,38)		(56 645,72)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(17 756,30)		(8 161,44)
საგადასახადო ხარჯი	(432,47)		(558,61)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხაჯი	(399 276,94)		(132 582,00)
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები/ ხარჯები	(50 738,21)		(7 047,64)
სულ ხარჯები	**(560 547,30)**		**(204 995,41)**
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**96 797,66**		**16 825,23**
მოგების გადასახადი	14 519,65		2 523,78
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ ზარალი	**82 278,01**		14 301,45

ბ ა ლ ა ნ ს ი					
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) "სვის კრედიტი"**					
ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: **შპს**					
მისამართი: **საქართველო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. N9**					
საქმიანოის ტიპი: **სესხები, სავალუტო და სალომბარდო მომსახურეობა**					
ზომის ერთეული: **ლარი**					
აქტივები	**31.12.2012**			**31.12.2011**	
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	51 170,45			55 861,35	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**51 170,45**			55 861,35
მიმდინარე აქტივები					
სულ მიმდინარე აქტივები	1 147 015,91			646 382,63	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	34 139,73			8 633,80	
გადავადებული საგადასახადო აქტივი					
სულ მიმდინარე აქტივები		**1 181 155,64**			**655 016,43**
სულ აქტივები		1 232 326,09			**710 877,78**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი და რეზერვები					
საწესდებო კაპიტალი	250 000,00			250 000,00	
წინა წლების მოგება/ზარალი	14 300,62			-	
გაცემული დივიდენდი	-			-	
აკუმულირებული მოგება/ზარალი	82 278,01			14 300,62	
სულ კაპიტალი და რეზერვები		**346 578,63**			**264 300,62**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გადახდილი პროცენტები					
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	487,21			1 243,64	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**487,21**			**1 243,64**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
ნასესხები ფულადი სახსრები	870 305,77			443 135,91	
დარიცხული ვალდებულებები	958,40			359,00	
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-			-	
საგადასახადო ვალდებულებები	13 996,08			1 838,61	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**885 260,25**			**445 333,52**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1 232 326,09**			**710 877,78**

ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ — ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რამდენიმე წელია, პოლონური ასოციაცია „დემოკრატიული აღმოსავლეთი“, კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრის“ თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მხარს უჭერს საქართველოს რეგიონულ გაზეთებს და ეხმარება მათ დამოუკიდებლად განვითარებაში.

ᲠᲐᲓᲖᲘᲛᲘᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲒᲝᲛᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

სწორედ ამ ასოციაციის პროექტის — **„საქართველოს ადგილობრივი გაზეთების მომზადება მცირე განცხადებების მოძიების სისტემის ჩამოყალიბებისათვის“** — ფარგლებში, მაისში პოლონეთის დედაქალაქ ვარშავას ვსტუმრობდით რეგიონული გაზეთების გამომცემლები და რედაქტორები. ოქტომბერში კი საქართველოში ველოდებით ჩვენს პოლონელ მასპინძლებს.

პროექტი თანადაფინანსებული გახლავთ პროგრამა „დემოკრატიის მხარდაჭერის“ ბიუჯეტიდან, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების პროგრამის „პოლონეთის დახმარება 2013 წ.“ ფარგლებში და ასევე — ამერიკული ფონდის მიერ.

5 დღე პოლონეთში ძალიან საქმიანად ჰქონდათ დაგეგმილი ჩვენს არაჩვეულებრივ მასპინძლებს: **ანნა ჰეიმანს, აგნიეშკა ნოვინსკას, ალექსანდრა (ოლა) გრაბოვსკას** და **მარინა ურბანოვიჩ-ვარსიმაშვილს**, რათა მაქსიმალურად მოგვესწრო როგორც საქმიანი შეხვედრები სხვადასხვა რედაქციასა თუ ადგილობრივ თვითმმართველობაში, ასევე — ვარშავის ღირსშესანიშნაობების მონახულება.

პროფესიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრები გვქონდა ვიშკოვისა და ლეგიონოვოს პოვიატებში გამომავალი რეგიონული გაზეთების რედაქციებში.

„ნოვი ვიშკოვიაკ“-ის გამომცემელმა **მაჩეი კოვალსკიმ** და ლეგიონოვოს ოთხი გაზეთის გამომცემელმა **პაველ კოზერამ** გვიამბეს თავიანთი საქმიანობის შესახებ და აგვიხსნეს მეთოდები, თუ როგორ ახერხებენ მცირე განცხადებების მოძიებასა და განვითარებას,როგორ ხდება მცირე განცხადებების გამოქვეყნება ინტერნეტის მეშვეობით, ან კიდევ — ფასებისა და განცხადებების რუკის დადგენა.

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მასპინძლებმა აღნიშნეს, რომ დასაწყისი ყოველთვის რთულია, მაგრამ მუდმივი ძიებისა და მთელი სარედაქციო გუნდის დაუღალავი შრომით, ფუნქციების სწორად გადანაწილებით წარმატებებიც მალე მოდის. მათ ასევე პასუხები გასცეს ქართველი ჟურნალისტების ყველა კითხვას.

ვიზიტის მონაწილეებს განსაკუთრებულად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო ქალაქ დაგმინა რადზიმინის ბურგომისტრმა **ზბიგნიევ პიოტროვსკიმ.** რადზიმინი პოლონეთის ერთ-ერთი ისტორიული ქალაქია . ის განსაკუთრებით იმითაა ცნობილი, რომ 1920 წლის 15 სექტემბერს პოლონურმა არმიამ სწორედ რადზიმინის ველზე შეაჩერა ბოლშევიკური ჯარი, რომელიც პოლონეთის აღებას ცდილობდა. ამიტომაცაა, რომ ძმათა სასაფლაოს ხილვა რადზიმინის ყველა სტუმრისთვის დიდი პატივია.

ბურგომისტრმა სიამაყით გვიამბო თავისი ქალაქის ისტორიისა და გერბის შესახებ. ასევე, გაგვაცნო თვითმმართველობის ამჟამინდელი პრიორიტეტები და ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობის ფორმები.

ბატონი ზბიგნიევის საუბრიდან შევიტყვეთ, რომ რადზიმინში ხუთი დამოუკიდებელი ადგილობრივი გაზეთი გამოდის. თვითმმართველობა განცხადებების გამოსაქვეყნებლად კონკურსის წესით არჩევს მათ შორის ყველაზე მაღალტირაჟიან, გავრცელების ფართო არეალის მქონე და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან გაზეთს, რომელიც ნაკლებ ფასს სთავაზობთ.

ასევე, გავიგეთ, რომ რადზიმინის პოვიატის წლიური ბიუჯეტი 65 მილიონი ზლოტია (ცნობისათვის: პოლონეთში 16 სავოევოდია, რომლებიც დაყოფილია პოვიატებად, პოვიატები კი — გმინებად ანუ თემებად). აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები არ აღემატება 5 პროცენტს. ეს წესი ეხება არა მარტო მერიას, არამედ — ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ყველა ორგანიზაციას. ბურგომისტრის განცხადებით, ცდილობენ, რომ ერთმანეთს უახლოვდებოდეს საჯარო მოხელისა და ბურგომისტრის ხელფასი.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ დავინტერესდით, როგორ ხდება საჯარო მოხელეების დასაქმება მათთან, ნათესავ-მეგობრობით თუ სხვა პრინციპით; როგორია თანამშრომელთა პრემიების გაცემის მეთოდები და ა.შ. ბურგომისტრის პასუხი კი ასეთია: ყველა მოხელე კონკურსით საქმდება. ყოველთვიურად განყოფილებების ხელმძღვანელები ადგენენ სიებს, თუ ვის ეკუთვნის პრემია. შტატების ზრდა თითქმის არ ხდება. თვითმმართველობაში არ არსებობს დაფარული ინფორმაცია და მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე სისტემატურად აქვეყნებენ. ბიუჯეტის შედგენა ხდება მოსახლეობასთან შეთანხმებით, ყველა სხდომა ჩაწერილია და განთავსებულია ინტერნეტში.

რადზიმინის თვითმმართველობა განსაკუთრებულად ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, მარტოხელა დედებსა და უმუშევრებს, თუმცა მიაჩნიათ, რომ მოქალაქეები მარტო სოციალური დახმარების მიღების იმედად არ უნდა ცხოვრობდნენ, რადგან ასე მათი ცხოვრება ერთ დონეზე დარჩება.

რაც შეეხება მედიასთან თვითმმართველობის ურთიერთობის ფორმებს, მოვიყვან რამდენიმე ციტატას ბურგომისტრის საუბრიდან:

- „არავის უნდა ისეთი გაზეთის წაკითხვა, სადაც მარტო ის წერია, ბურგომისტრმა რა გახსნა, საიდან მოვიდა და სად წავიდა“;
- „აღგილობრივი დამოუკიდებელი გაზეთების არსებობის აზრი ისაა, რომ გამოაქვეყნონ კრიტიკული სტატიები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას გვაძლევს ჩვენი საქმიანობის „გარედან“ შეხედვისა და ნაკლოვანებების გამოსწორების შესაძლებლობას“.
- „ჩვენ რომ საკუთარი ნაკლის დანახვა არ გვდომებოდა, თავად გავაკეთებდით გაზეთს და „ყველაფერი იქნებოდა კარგად“.
- „ძალიან ვაფასებ დამოუკიდებელ ჟურნალისტებს, რადგან ჩვენს მუშაობას კრიტიკულად აფასებენ. თუ რამე წარმატებას მივაღწიეთ, გვიხარია, რომ ისინიც ხედავენ.“

საქართველოში, სამწუხაროდ, ძნელად მოიძებნება ისეთი ქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე თუ გუბერნატორი, რომელსაც მედიის მიმართ ასეთი ხედვა ჰქონდეს. ესეც, ალბათ, დემოკრატის ხარისხის ტესტია.

და ბოლოს, **ზბიგნიევ პიოტროვსკის** საუბრიდან კიდევ ერთი გულწრფელი ციტატა, რითაც მან წარმატების ის ფორმულა გაგვიმხილა, რის გამოც რადზიმინის მოსახლეობამ სამჯერ აირჩია ბურგომისტრად:

„მე რადზიმინის მოსახლეობას ვექცევი ისე, როგოც საკუთარი ოჯახის წევრს, თავად დავდივარ მანქანით, არ ვსვამ ალკოჰოლს და არ ვღალატობ ცოლს!“

ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

ძნელია, ერთ პატარა საგაზეთო წერილში სრულად ჩაატიო ის შთაბეჭდილებები, რაც ამ პოლონურ ვიზიტთანაა დაკავშირებული, თუმცა, ფაქტია, რომ პოლონური გამოცდილება დემოკრატიის მშენებლობის, მედიისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით, მართლაც სამაგალითო და მისაბაძია, ამიტომ კიდევ ერთხელ უდიდესი მადლიერებით ვეხმიანები ჩვენს პოლონელ მასპინძლებს და მოუთმენლად ველოდები მათთან მომდევნო შეხვედრებს — თბილისში, ქუთაისში, ვარშავაში, კრაკოვში და ასე, დაუსაბამოდ...

ᲜᲐᲢᲝ ᲒᲣᲒᲔᲚᲐᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ-ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐᲖᲔ

პარლამენტარი **ეკა ბესელია** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ დაგვიკავშირდნენ ლუიზა ლაკერბაია და დალი ბარაბაძე.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ-ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐᲖᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დავითის ჯვარია სატარებელი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ქვეყნის გადასარჩენად.

შაქრო გაბელაშვილი

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. აკრუკსი. 5. ოტელო. 6. ოტო. 8. ოლე. 9. სამოა. 11. ამაზონი.

შვეულად: 1. ბროლი. 2. ოკა. 3. ანტალია. 4. ისტროსი. 7. კაროლ. 10. სან.

ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ 1000-ᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲘ?

ბოლო ორი თვეა, იმერეთში განხილვის აქტუალური თემაა სახელმწიფოს მიერ 1000-ლარიანი ტექნიკის ვაუჩერის შესაძლო დარიგება. მოქალაქეთა თქმით, ვაუჩერით, რომელიც საქართველოს ყველა დიასახლისს დაურიგდება, შესაძლებელი იქნება მაცივრის, სარეცხი მანქანის, ელექტროღუმელის, მტვერსასრუტის და სხვა საოჯახო ნივთის შეძენა. მოქალაქეთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ვაუჩერების დარიგება სექტემბრიდან დაიწყება.

„სექტემბრიდან დარიგდება. შეიძლება უფრო ადრეც დაარიგონ. მაცივრის, ტელევიზორის და ასეთი ნივთების გამოტანა შეიძლება. ოღონდ, ხელზე ფულს ვერ აიღებ, მარტო ტექნიკა უნდა გამოიტანო,“ — ამბობს **მანანა ხურცილავა.**

„მეც გავიგე ეს ამბავი, მაგრამ ტელევიზორში არ უთქვამს არავის. ხალხისგან გავიგე. ყველა ლაპარაკობს ამაზე და, იმედია, სიმართლე იქნება,“ — ამბობს **ნესტან ლომსიანიძე**.

ვის მიერ და რის საფუძველზე მოხდა ინფორმაციის არაოფიციალურად გავრცელება, ამის გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან თავად „ქართული ოცნების“ ოფისების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ასეთი რამ ხელისუფლების უახლოეს გეგმებში არ შედის, შესაბამისად, წინასწარ ინფორმაციის გავრცელება მათგან ვერ მოხდებოდა. ოფისებში ამბობენ იმასაც, რომ ხალხში ხელისუფლების მიმართ ახალი მოლოდინის გაჩენა, შესაძლოა, ოპოზიციის ინტერესებს ემსახურებოდეს.

„არ გამოვრიცხავთ, რომ კონკურენტებმა გაგვივრცელეს ეს ხმები. თან საინტერესოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში საუბრობენ ამაზე. აღმოსავლეთში, როგორც ვიცი, ეს ჭორი არ გავრცელებულა,“ — ამბობენ „ქართული ოცნების“ ხონის ოფისში.

ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ „ქართული ოცნების“ ქუთაისის ოფისში.

„არ ვიცი. ნამდვილად არ ვფლობ ზუსტ ინფორმაციას,“ — ამბობს „ქართული ოცნების“ ქუთაისის ოფისის წარმომადგენელი **გია ქობალიანი.**

მოსახლეობის ვარაუდი ვაუჩერების შესაძლო დარიგებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაამძაფრა ბოლო დროს ქართული ბანკების მიერ გამოცხადებულმა აქციამ, რომლითაც ისინი კლიენტებს ტექნიკის ყველა სახეობაზე 0%-იან განვადებას სთავაზობენ. მოქალაქეთა ნაწილმა, ვაუჩერის მოლოდინში, უარი თქვა საჭირო ნივთის უპროცენტო განვადებით გამოტანაზეც კი, რადგან მიაჩნიათ, რომ ბანკები ცდილობენ, ვაუჩერების დარიგებამდე მაქსიმალური მოგების მიღება მოასწრონ.

თავად ბანკების წარმომადგენლები 0%-იან აქციას ვაუჩერების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ უკავშირებენ და ამბობენ, რომ მსგავსი აქციები ყოველწლიურად ცხადდება.

„ეს არ არის პირველი შემთხვევა. თანაც ნახევარ წელზე მეტია, ეს კონკრეტული აქცია აქვს ჩვენს ბანკს,“ — ამბობს ბანკ „კრედოს“ განვადების ოფიცერი **თამარ კენჭაძე**.

0%-იანი განვადება ტექნიკაზე, ორი თვის წინ გამოაცხადეს „საქართველოს ბანკმა“ და „თიბისი“ ბანკმაც, თუმცა ვაუჩერებთან აქციის კავშირს აქაც გამორიცხავენ.

„ეს სეზონური აქციაა, მაგალითად, როგორც საახალწლოდ გვაქვს ხოლმე აქციები. მეც მსმენია ამ ვაუჩერების შესახებ, მაგრამ ჩვენი აქცია მასთან კავშირში არ არის,“ — ამბობს „თიბისი“ ბანკის გაყიდვების მენეჯერი **ნანა დოგოზოვი**.

„ამ აქციის მიზანია მომხმარებლის მოზიდვა და მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რათა მარტივად შეიძინონ მათთვის სასურველი ნივთი. ყველა სეზონზე ვაცხადებთ ჩვენ ასეთ აქციებს. ამაში განსაკუთრებული არაფერია,“ — ამბობს „საქართველოს ბანკის“ გაყიდვების მენეჯერი **თამარ ჭეიშვილი**.

მოქალაქეთა ნაწილს მიაჩნია, ეს ის ვაუჩერებია, რომელსაც ხელისუფლება საქართველოს მთელ მოსახლეობას ჯერ კიდევ 2012 წლის საარჩევნო კამპანიის დროს დაჰპირდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსახლეობას ბუკლეტები დაურიგდა, სადაც ყველა მოქალაქეს შეეძლო სასურველი ტექნიკა მიეთითებინა, მხოლოდ ერთი პირობით: ტექნიკის ღირებულება 1000 ლარზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. კოალიცია „ქართული ოცნება“ საქართველოს მოსახლეობას 1000-ლარიანი ოცნების ახდენას არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებოდა. სწორედ ამიტომ მოქალაქეთა ნაწილი 1000-ლარიან ვაუჩერს დღემდე ელოდება. თუმცა, იქცევა თუ არა მათი მოლოდინი რეალობად, როგორც აღმოჩნდა, ამის თქმა ნაადრევია...

ᲛᲐᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ

psnews.ge